

## ღია კონკურსი: 2022 წლის თბილისის არქიტექტურის ბინნალე

### რა იქნება შემდეგ?

2022 წლის 8 – 29 ოქტომბერი

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 2022 წლის 19 და 30 ივნისი, 23:59 ცენტრალური ევროპის დრო (თუ შეიძლება, გაითვალისწინეთ, რომ სხვადასხვა კატეგორიაში განაცხადების მიღების ბოლო ვადა განსხვავებულია).

### მნიშვნელოვანი თარიღები

- განაცხადების მიღების დაწყება: 2022 წლის 26 მაისი
- განაცხადების მიღების ბოლო ვადა კატეგორიებისთვის #1, #2, #3 და #4 (ფიზიკური და ციფრული პროექტები, საგანმანათლებლო აქტივობები/ვორქშოპი, პუბლიკაციები) არის 2022 წლის 30 ივნისი
- განაცხადების მიღების ბოლო ვადა კატეგორიისთვის #5 (რეზიდენციის პროგრამა) არის 2022 წლის 19 ივნისი
- კონკურსის შედეგების გამოცხადება კატეგორიებისთვის #1, #2, #3 და #4 (ფიზიკური და ციფრული პროექტები, საგანმანათლებლო აქტივობები/ვორქშოპი, პუბლიკაციები) მოხდება 2022 წლის 24 ივლისს
- კონკურსის შედეგების გამოცხადება კატეგორიისთვის #5 (რეზიდენციის პროგრამა) მოხდება 2022 წლის 3 ივლისს.

კონკურსის შედეგები ხელმისაწვდომი იქნება თბილისის არქიტექტურის ბინნალეს ვებ, ფეისბუქ და ინსტაგრამ გვერდებზე.

განაცხადები და კონკურსთან დაკავშირებული კითხვები უნდა გამოიგზავნოს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: [submit@biennial.ge](mailto:submit@biennial.ge). თუ შეიძლება, მეილის სათაურში მიუთითეთ კონკურსის იმ კატეგორიის დასახელება, რომელშიც გსურთ მონაწილეობის მიღება.

განაცხადის გამოგზავნის შემდეგ 24 საათის განმავლობაში მოგივით საბუთების მიღების დამადასტურებელი წერილი. იმ შემთხვევაში, თუ პასუხი არ მოგივით, გთხოვთ, განაცხადის პაკეტი ხელახლა გამოგზავნოთ.

მითითებული ბოლო ვადის შემდეგ გამოგზავნილი განაცხადები არ განიხილება.

## რა იქნება შემდეგ?

### 2022 ბიენალეს თემა

#### დროებითობის შესახებ

2022 წლის თბილისის არქიტექტურის ბიენალეს რიგით მესამე გამოშვების კვლევის თემაა დროებითობა ურბანულ და სოციალურ ცხოვრებაში. კონცეფცია საქართველოს უახლესი ისტორიის გათვალისწინებით სხვადასხვა პირობითი ფაქტორის კვეთაზე განიხილება და სამი ძირითადი კატეგორიის: დროის, სივრცისა და ნაშენი გარემოს პარალელურ კვლევას ეყრდნობა. შესაბამისად, ბიენალეს მიზანს არქიტექტურის ერთ-ერთ ამ კატეგორიაში დროის ფენომენის შესაბამისი განხილვა წარმოადგენს. ბიენალეს გუნდს სურს, არქიტექტურისა და ყოველდღიური ცხოვრების თანაარსებობის პრინციპი ფიზიკური განზომილების მაგივრად ხანგრძლივობის ჭრილში გაიაზროს.

ჩვენი მიზანი იმ ამჟამინდელი პირობითი გარემოებების შესწავლაა, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით ჩნდებიან და მუდმივობისა და კონცეპტუალური სტაბილურობის ცნებებს არ ექვემდებარებიან. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, შექმნილმა გარემოებებმა არქიტექტურის „ახლანდელი“ თვისებები მუდმივი არ გახადონ, მომავლის სტაბილური გარემოს შესაქმნელად მათი ცალ-ცალკე, ინდივიდუალურად შესწავლა და გააზრება აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

საქართველოს მოსახლეობა უკვე მრავალი წელია დროებით მდგომარეობაში ცხოვრობს. ბავშვობიდან მოყოლებული საცხოვრებელ ადგილებზე, მწირ რესურსებზე, პოლიტიკურ არასტაბილურობაზე, ომებზე ან შემოსავლის წყაროებზე ლაპარაკისას ჩვენ დროებითობასთან პირისპირ შეჯახება ხშირად გვიწევდა. ბევრი პოსტსოციალისტური სახელმწიფოს მსგავსად, საქართველოს მოქალაქეებიც თავის ცხოვრებას (ისევე როგორც ბევრ სხვა რამეს ქვეყანაში) დროებითობის ჭრილში აღიქვამენ. ჩვენ არასოდეს ვიცით, რას მოიტანს ხვალისდელი დღე და რა იქნება ის შემდეგი რამ, რაც ცხოვრების გაგრძელებასა და გადარჩენაში დაგვეხმარება. რა იქნება შემდეგ? - ზოგადი შეკითხვაა, რომელსაც დროებითობისა და სივრცესთან დაკავშირებული რამდენიმე კონკრეტული თემის გამო ვსვამთ. ერთი მხრივ, დროებითი საცხოვრებელი სივრცე არასტაბილურობასთან და იმ მყიფე საარსებო ზედაპირთან ასოცირდება, რომელიც ნებისმიერ წუთას შეიძლება დაიშალოს. მეორე მხრივ კი დროებითობის ცნება სამუშაოდ და დაკვირვებების საწარმოებლად ძალიან მნიშვნელოვან და საინტერესო გარემოს გვთავაზობს. დროებითობის საკითხზე კონცენტრირებით ჩვენ არა მხოლოდ ვულრმავედებით იმ სივრცის შესწავლას, რომელიც მალე გაქრება, არამედ განხილვის საგნად იმ ადგილებსაც ვაქცევთ, რომლებიც დროებითი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არსებობის მანძილზე მუდმივად იქცა.

#### მუდმივი დროებითობა

რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს დროებითი პირობები? რა ხდება, როდესაც რაღაც დროებითი მუდმივი ხდება? ამ ფენომენზე დაკვირვება განსაკუთრებით კარგად იძულებით გადაადგილებულ პირთა ან ლტოლვილთა, და მათ საცხოვრებელ გარემოს მაგალითზე შეიძლება. იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები) და ლტოლვილები ცდილობენ, ახალ საცხოვრებელ სივრცეს დროთა განმავლობაში შეეგუონ, თუმცა, სახლში დაბრუნების მუდმივი სურვილი მათ აწმყოს დროებით კატეგორიად აქცევს. ისინი ორ ცოცხალ ფენომენს: სახლსა და თავშესაფარს შორის არიან მოქცეულნი და ახალ ტერიტორიაზე არსებულ დროებით (თუმცა ხშირად მუდმივ) ადგილას მიტოვებული სახლის რეკონსტრუქციას, არსებულ შენობებში ან ახალ ბანაკის ტიპის სივრცეში ფეხის მოკიდებას ცდილობენ.

## პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების წყალობით გაჩენილი დროებითი სივრცეები

2020 წლის გაზაფხულზე პანდემიით გამოწვეული პირველი „ჩაკეტვის“ დროს ჩვენ პირველად გამოვცადეთ დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად შემოღებული დროებითი ზომები. რამდენიმე საზოგადოებრივი შენობა საველე ჰოსპიტლად და ტესტების ჩასატარებელ ცენტრად გადაკეთდა. საავადმყოფოების სწრაფი გადავსების თავიდან ასაცილებლად პაციენტების განსათავსებელი ახალი დროებითი ნაგებობები აშენდა. შემოღებულმა ზომებმა გავლენა მოახდინა ჩვენს საცხოვრებელ გარემოზე, შეცვალა ქალაქში გადაადგილებისა და ურბანული სივრცეების გამოყენების გზები. ამიტომაც განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა პანდემიის დროს გაჩენილი კონკრეტული სივრცეების, მათი მნიშვნელობის, არსებობის ხანგრძლივობისა და არსებულ გარემოზე გავლენის კვლევამ.

## ქალაქის პერიფერიული ტერიტორიები და მიმდინარე გაფართოების ადგილები

რას წარმოადგენს ქალაქის პერიფერიული ტერიტორია და რომელი პირობითი ფაქტორები განაპირობებენ მის საზღვრებს?

ქალაქის საზღვრები მჭიდროდაა დაკავშირებული თანამედროვე ურბანული გამოწვევებით წარმოქმნილ მთავარ ინფრასტრუქტურულ არტერიასთან. თუმცა, ურბანული განვითარების გეგმის გარდა, ქალაქები დროთა განმავლობაში იმ დე ფაქტო საზღვრებსაც ადგენენ, რომლებიც დასახლებულ გარემოდ აღიქმება. ხშირ შემთხვევაში ამგვარი დამოუკიდებლად ჩამოყალიბებული პერიფერიული დასახლებები ჯერ კიდევაა დაკავშირებული ქალაქის ღერძს.

ურბანული გაფართოების მუდმივი პროცესი ხშირად იწვევს ახალი ურბანული გეგმისა და ზემოთ ნახსენები თვითმყოფადი კონტურების გადაკვეთაზე ბარაკების ახალი საცხოვრებელი კორპუსებით ჩანაცვლებას.

ჩვენი კვლევის მიზანია იმ სწრაფად განვითარებადი მკაფიოდ გამოყოფილი საცხოვრებელი ფორმების განსაზღვრა და დოკუმენტირება, რომელთა მიერ ერთმანეთის გადაფარვაც გარდაუვალია.

## **ვის შეუძლია კონკურსში მონაწილეობა**

კონკურსში განაცხადის შემოტანა შეუძლია ყველა დაინტერესებულ არქიტექტორს, ხელოვანს, მწერალს, მეცნიერს, ურბანისტსა და შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენელ ნებისმიერ ადამიანს მიუხედავად გეოგრაფიული ადგილისა, ასაკისა ან წარსული გამოცდილებისა. კონკურსში მონაწილეობა უფასოა.

## **განაცხადების შემოტანის პროცესი**

კონკურსი აერთიანებს ხუთ სხვადასხვა კატეგორიას:

1. ფიზიკურ სივრცეში განხორციელებული პროექტი (ნამუშევარი/კვლევა ნებისმიერ ფიზიკურ ფორმატში)
2. ციფრულ სივრცეში განხორციელებული პროექტი (ნამუშევარი/კვლევა ნებისმიერ ციფრულ ფორმატში)

3. საგანმანათლებლო აქტივობა / ვორქშოფი (ციფრულ ან ფიზიკურ ფორმატში)

4. ნაშრომები პუბლიკაციისთვის

5. ურბანული რეზიდენცია.

კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადები წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ან ქართულ ენაზე. ყველა მიღებულ განაცხადს საერთაშორისო ჟიური იდეის ხარისხისა და 2022 წლის თბილისის არქიტექტურის ბიენალეს მთავარ კონცეფციასთან უშუალო კავშირის გათვალისწინებით ანონიმურად შეაფასებს. ყველა შემოთავაზებული პროექტი უნდა მკაფიოდ ეხმაურებოდეს ბიენალეს თემას „რა იქნება შედეგ?“

თბილისის არქიტექტურის ბიენალე მონაწილეობის მსურველებს შემოთავაზებული განაცხადებისა და კონცეფციებისთვის საორიენტაციოდ თბილისში (საქართველო) მდებარე შემდეგ ადგილებს სთავაზობს ([იხ. საქაღალდე](#)) თუმცა, კონკურსის მონაწილეებს რა თქმა უნდა, მათთვის სასურველი ადგილების შემოთავაზებაც შეუძლიათ.

## განაცხადის მომზადების პირობების დეტალური აღწერა

### 1. ფიზიკურ სივრცეში განხორციელებული პროექტი

კონკურსის მონაწილეებს თავად შეუძლიათ მათთვის სასურველი ფორმატის შემოთავაზება. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ნამუშევარი ფიზიკურად უნდა განხორციელდეს თბილისში (საქართველო).

გასაგზავნი დოკუმენტების სია:

1. პროექტის იდეის მოკლე აღწერა (მაქსიმუმ 500 სიტყვა)

2. ნამუშევრის ჩანახატი/ფოტო/რენდერი და მისი ტექნიკური აღწერა განზომილებების, ფერის, ორიენტაციის, სამუშაო მასალის, ფიზიკური განთავსების ადგილის და ა. შ. მითითებით (pdf ან jpeg ფორმატი)

3. განმცხადებლის პორტფოლიო (არჩევითი) და CV

4. პროექტის ბიუჯეტი.

სამი გამარჯვებული პროექტიდან თითოეულს წარმოების ხარჯებისა და ჰონორარების დასაფარად მიეცემა მაქსიმუმ 3,200 ევრო. საჭიროების შემთხვევაში მოხდება დამატებით მგზავრობისა და ცხოვრების ხარჯების დაფარვაც. გრანტის თანხა უნდა შეიცავდეს ყველა გადასახადს ბანკის საკომისიო გადარიცხვის ჩათვლით (დაახლ. 15 ევრო საზღვარგარეთ გადარიცხვის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ ბიუჯეტი გადააჭარბებს ბიენალეს მიერ დაწესებული გრანტის ოდენობას, განმცხადებლებს შეუძლიათ დამატებითი დაფინანსება სხვა წყაროებიდანაც მოიზიდონ.

## 2. ციფრულ სივრცეში განხორციელებული პროექტი

კონკურსის მონაწილეებს თავად შეუძლიათ ციფრულ მედიაში განხორციელებისთვის შესაფერისი, მათთვის სასურველი ფორმატის შემოთავაზება. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ აუცილებელია ციფრულ ფორმატში განხორციელებული პროექტის ბიენალეს ვებგვერდზე ბმისა და წარდგენის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

გასაგზავნი დოკუმენტების სია:

1. პროექტის იდეის მოკლე აღწერა (მაქსიმუმ 500 სიტყვა)
2. ნამუშევრის ჩანახატი/ფოტო/რენდერი და მისი ტექნიკური აღწერა განზომილებების, ფერის, ორიენტაციის, სამუშაო მასალის და ა. შ. მითითებით (pdf ან jpeg ფორმატი)
3. განმცხადებლის პორტფოლიო (არჩევითი) და CV
4. პროექტის ბიუჯეტი.

სამი გამარჯვებული პროექტიდან თითოეულს წარმოების ხარჯებისა და ჰონორარების დასაფარად მიეცემა მაქსიმუმ 1,200 ევრო. გრანტის თანხა უნდა შეიცავდეს ყველა გადასახადს ბანკის საკომისიო გადარიცხვის ჩათვლით (დაახლ. 15 ევრო საზღვარგარეთ გადარიცხვის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ ბიუჯეტი გადააჭარბებს ბიენალეს მიერ დაწესებული გრანტის ოდენობას, განმცხადებლებს შეუძლიათ დამატებითი დაფინანსება სხვა წყაროებიდანაც მოიზიდონ.

## 3. საგანმანათლებლო აქტივობა / ვორქშოფი

2022 წლის თბილისის არქიტექტურის ბიენალეს ფარგლებში ორი ვორქშოფის ჩატარება იგეგმება. მათი ხანგრძლივობა, კონტექსტი და განხორციელების დეტალები განმცხადებლის მიერ იმ პოტენციური გამოწვევების გათვალისწინებით უნდა იქნას განსაზღვრული, რომლებიც მუშაობის პროცესში შეიძლება წარმოიშვას (მიმდინარე პანდემია, შეიარაღებული კონფლიქტი და ა. შ.).

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ვორქშოფის ჩატარებით დაინტერესებულმა პირებმა ორგანიზატორებს შემდეგი დოკუმენტები უნდა გაუგზავნონ:

1. განმცხადებლის CV და პორტფოლიო
2. ვორქშოფის კონცეფციის აღწერა მისი შემადგენელი კომპონენტების ჩათვლით (მაქსიმუმ 500 სიტყვა)
3. დეტალური ბიუჯეტი.

შერჩეული ორი პროექტი ვორქშოფის ჩასატარებლად მაქსიმუმ 3,500 ევროს ოდენობის გრანტს მიიღებს. გრანტის თანხა უნდა შეიცავდეს ყველა გადასახადს ბანკის საკომისიო გადარიცხვის ჩათვლით (დაახლ. 15 ევრო საზღვარგარეთ გადარიცხვის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ ბიუჯეტი გადააჭარბებს ბიენალეს მიერ დაწესებული გრანტის ოდენობას, განმცხადებლებს შეუძლიათ დამატებითი დაფინანსება სხვა წყაროებიდანაც მოიზიდონ.

შენიშვნა: ეს კონკურსი ცხადდება მხოლოდ და მხოლოდ ვორქშოფის ფასილიტატორებისა და თემების შესარჩევად. ვორქშოფის მონაწილეთა შესარჩევი კონკურსი დამატებით, მოგვიანებით გამოცხადდება.

#### 4. ნაშრომები პუბლიკაციისთვის

თბილისის არქიტექტურის ბიენალე, წინა გამოცდილებიდან გამომდინარე, წლევანდელ პუბლიკაციაში უფრო მეტად მრავალფეროვანი ჯგუფის წარმომადგენელთა სტატიისა და ტექსტის გამოქვეყნებას გეგმავს. სტატიების კონკურსის საფუძველზე მოხდება და სხვადასხვა დისციპლინაში მომუშავე მკვლევრებს, ახალგაზრდა პროფესიონალებს, მეცნიერებს, ურბანისტებს, ხელოვანებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს ტექსტის რეზიუმეების გამოგზავნის საშუალებას მისცემს. ყველა ტექსტი თემატურად დაკავშირებული უნდა იყოს ბიენალეს მთავარ კონცეფციასთან „რა იქნება შემდეგ“.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განმცხადებლებმა უნდა გამოგზავნონ ტექსტის რეზიუმეები (მაქსიმუმ 500 სიტყვა), სამოტივაციო წერილი (მაქსიმუმ 300 სიტყვა) და ავტორის მოკლე ბიოგრაფია (მაქსიმუმ 200 სიტყვა). ყველა მიღებულ განაცხადს მოწვეული ჟიური განიხილავს. განაცხადები უნდა გამოიგზავნოს ინგლისურ ან ქართულ ენებზე (pdf ფორმატი).

ექვს შერჩეულ კანდიდატს გადაეცემა 500 ევროს ოდენობის ჰონორარი. ეს თანხა შეიცავს ყველა გადასახადს ბანკის საკომისიო გადარიცხვის ჩათვლით (დაახლ. 15 ევრო საზღვარგარეთ გადარიცხვის შემთხვევაში). ყველა შერჩეული სტატია/ტექსტი გამოქვეყნდება 2022 წლის თბილისის არქიტექტურის ბიენალეს პუბლიკაციაში. კონკურსში მონაწილეობის აუცილებელი პირობაა, რომ სტატიები/ტექსტები მანამდე არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე აკადემიურ ან სხვა ტიპის გამოცემაში.

#### 5. ურბანული რეზიდენცია

ურბანული რეზიდენციის კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ ადამიანს აღმოსავლეთ ევროპიდან ან აშშ-დან. იმის გამო, რომ პროგრამის ძირითადი სამუშაო ენა ინგლისურია, აუცილებელია კანდიდატის მხრიდან ენის საბაზისო ცოდნა. განაცხადისა და კვლევითი პროექტის თემა უნდა შეესაბამებოდეს თბილისის არქიტექტურის ბიენალეს 2022 წლის გამოშვების თემას. საქართველოში (თბილისში ან ნებისმიერ სხვა ქალაქში და/ან სოფელში) ჩატარებული რეზიდენციის ხანგრძლივობა უნდა იყოს მინიმუმ ერთი თვე. მონაწილეებს ეკისრებათ, რეზიდენციის გუნდთან თანამშრომლობით მინიმუმ ერთი ლექციის ან მათი სამუშაოს პრეზენტაციის ჩატარების ვალდებულება.

რეზიდენტურის დაწყების ყველაზე ადრინდელი თარიღია 2022 წლის 15 ივლისი. პროგრამაში მონაწილეობის შედეგები წარმოდგენილი უნდა იყოს ოქტომბერში, თბილისის არქიტექტურის ბიენალეს 2022 წლის გამოშვებაზე ავტორის მიერ თავად არჩეული ნებისმიერი ფორმატით.

მოთხოვნილი დოკუმენტები:

1. საკვლევი იდეის მოკლე აღწერა (მაქს. 500 სიტყვა)
2. სამოტივაციო წერილი (მაქს. 300 სიტყვა)
3. განმცხადებლის პორტფოლიო (სურვილისამებრ) და CV.

ერთ შერჩეულ მონაწილეს გადაეცემა მაქსიმუმ 1,800 ევრო. ეს თანხა შეიცავს მგზავრობის (300 ევრო), საცხოვრებლისა (600 ევრო) და ჰონორარის ხარჯებს (900 ევრო). რეზიდენტის ჰონორარი შეიცავს ყველა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადს, რომელიც გამოაკლდება ამ თანხას (დაახლ. 28%). რეზიდენციაში ყოფნის პერიოდში შერჩეულ კანდიდატს თბილისის არქიტექტურის გუნდი აღმოუჩენს ტექნიკურ დახმარებას.

რეზიდენციის პროგრამის დაფინანსებას უზრუნველყოფს ფონდი Trust for Mutual Understanding New York და მისი განხორციელება მოხდება ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან “პლატფორმა ცვლილებებისთვის” თანამშრომლობით.

### **გამარჯვებულების შერჩევის პროცესი**

საკონკურსო განაცხადებს შეაფასებს თბილისის არქიტექტურის ბიენალეს პარტნიორი ორგანიზაციების Pavilion of Culture (უკრაინა), Dekabristen e.V. (გერმანია), Transmedia Akademie Hellerau e.V. (გერმანია), Mies van Der Rohe Foundation (ესპანეთი), Kotor Apps (მონტენეგრო), Barleti Universiteti (ალბანეთი), Trienal de Arquitectura de Lisboa (პორტუგალია) წარმომადგენლებისა და მოწვეული ექსპერტებისგან შემდგარი საერთაშორისო ინტერდისციპლინური ჟიური. მაქსიმალურად მიუკერძოებლად შეფასების მიზნით განაცხადები განიხილება ანონიმურად და ჟიურის წევრებისთვის შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაცემით.

კონკურსი გაიმართება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ჟიური განიხილავს ყველა განაცხადს და მათგან საუკეთესოთა მოკლე სიას შეადგენს. მოკლე სიაში მოხვედრილი პროექტების ავტორები მოწვეული იქნებიან ინტერვიუებზე, რომელთა თარიღები მათთან შეთანხმებით დადგინდება. ჟიური პროექტებს ბიენალეს მთავარ თემასთან შესაბამისობის, მათი გავლენის, მდგრადობის, განხორციელების შესაძლებლობის, თემის აქტუალობისა და კონკურსის პირობებისა და ბიუჯეტის გათვალისწინებით შეაფასებს. ჟიური იტოვებს უფლებას, არ გამოავლინოს გამარჯვებული იმ შემთხვევაში, თუკი, მისი აზრით, კონკურსის მოთხოვნებს განაცხადებიდან ვერცერთი ვერ დააკმაყოფილებს.

### **შედეგები**

საბოლოო გადაწყვეტილება კონკურსის შედეგების შესახებ გამოქვეყნდება 2022 წლის 3 ივლისს (კატეგორია: ურბანული რეზიდენცია) და 24 ივლისს (ყველა სხვა კატეგორია).

### **საავტორო უფლებები**

პროექტის მონაწილეები შეინარჩუნებენ ყველა უფლებას თავიანთ იდეებსა და დიზაინზე. ბიენალე იტოვებს მონაწილეების მიერ შექმნილი ნამუშევრების/კვლევის მასალების ბეჭდური და ციფრული ვერსიების ავტორის მითითებით გამოყენების უფლებას. გამოგზავნილი განაცხადები და დამატებითი მასალები (აღწერა, ბიუჯეტი, ჩანახატები, ფოტოები, რენდერები) შეინახება თბილისის არქიტექტურის ბიენალეს არქივში და არ გადაეცემა მესამე პირებს.